ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 01 - 021101

ქ. თბილისი

11 თებერვალი, 2020 წელი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** (ს/კ: 412670097) (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის - გრიგოლ მანდარიას სახით და მეორე მხრივ, **შპს „ევრო მონოლითი“** (ს/კ: 424613662) (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ზვიადი მაისურაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2020 წლის საკუთარი სახსრებით დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ქ. თელავის სათავე ნაგებობაზე ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემის მიწის სამუშაოების მოსაწყობად მაღალი გამავლობის ექსკავატორის (მუხლუხა) ოპერატორთან ერთად დაქირავების მომსახურების** (CPV – **45500000** - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება; CPV - **45520000** - მიწის სათხრელი მოწყობილობებისა და მათი ოპერატორების დაქირავება) შესყიდვა (შემდგომში - „მომსახურება“);

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ზუსტი აღწერა მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი № 1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 000.00 (ორი ათასი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით;

3.3. ერთეულის ფასები მოცმულია დანართ № 1-ში;

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს;

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართვე-

4.2. ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი;

4.3. დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2020 წლის საკუთარი სახსრები;

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდგომ, მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4.5. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4.6. მიმწოდებელმა ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (გარდა ელექტრონულისა) უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის სათავო ოფისის მისამართზე, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N76"ბ" სამუშაო საათებში (დილის ცხრა საათიდან საღამოს 18:00 საათამდე).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კახეთის რეგიონული ფილიალის უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. გაწეული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის პირობებს;

6.2. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად მიმწოდებლის ტექნიკით, ოპერატორითა და საწვავ-საპოხი მასალებით;

არახელსაყრელი კლიმატური პირობების (ატმოსფერული ნალექის) შემთხვევაში აღნიშნული ვადები შესაძლებელია გაგრძელდეს შესაბამისი კლიმატური პირობების დადგომის ვადით, რაც უნდა დაფიქსირდეს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტში;

6.3. მომსახურების გაწევის ადგილია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კახეთის რეგიონული ფილიალის სამოქმედო ტერიტორია, მდინარე თურდოს ხეობა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მომსახურების გაწევის დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და სხვა პირობების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, სრულად საკუთარი ტექნიკით, ოპერატორითა და საწვავ-საპოხი მასალებით;

ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

გ) დაიცვას უსაფრთხოების ზომები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების სრული დაცვით;

დ) გათვალოს მომსახურების განხორციელების პროცესში შესაძლო რისკები და უზრუნველყოს მოსალოდ-ნელი საფრთხეების თავიდან არიდება;

უსაფრთხოების დაცვაზე;
ვ) სრულად უზრუნველყოს მისი ქმედების/უმოქმედობის შედეგად გარემოზე ან/და სხვა სახის ქონებაზე მიყენებული ზიანის (საგზაო ინფრასტრუქტურის, ასფალტის, ადგილზე არსებული კომუნიკაციებისა და ურბანული ლანდშაფტის ელემენტების) ანაზღაურება;
ზ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზარალი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადებისა და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პირობებსა და შემსყიდველის მოთხოვნებთან;
8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კახეთის რეგიონული ფილიალის უფლებამოსილი პირ(ებ)ი;
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან/და ნაკლის ან/და ხარვეზის აღმოფხვრა.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით;
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.5. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ მომსახურება გაწეული არ არის მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ; ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შემსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და გაწეული მომსახურების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის

10.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.4. მხარე ვალდებულია 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

11.2. მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ა.შ.;

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 (სამი) დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულად;

12.4. მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია ან/და დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

13.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 07 მარტის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76
ტელეფონი: +995 32 2919060
მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი" ცენტრა-ლური ფილიალი
მომსახურე ბანკის კოდი: 220101480, LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE77LB0113123325230012
საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097

„მიმწოდებელი"

შპს „ევრო მონოლითი"
იურიდიული მისამართი: ახმეტა, ს. კოღოთო
მომსახურე ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
მომსახურე ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE20TB7060536080100007
საიდენტიფიკაციო კოდი: 424613662
ელ-ფოსტა: evromonoliti@gmail.com

დირექტორი

გრიგოლ მაწდარია

LLC united water supply company of georgia

Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2020.02.11 14:09:22 +04'00'

დირექტორი

ზვიადი მაისურაძე

ფასების ცხრილი (დანართი N1)

N	დასახელება	მომსახურების ჩამონათვალი	ერთი დღის მომსახურების ღირებულება	ხუთი დღის მომსახურების ღირებულება
1	ქ. თელავის სათავე ნაგებობაზე ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემის მიწის სამუშაოების მოსაწყობად მაღალი გამავლობის ექსკავატორის (მუხლუხა) დაქირავების მომსახურება, ოპერატორთან ერთად	ექსკავატორი "CATERPILLAR"-ის მომსახურება (სარეგისტრაციო ნომერი CAT0320DEKGF01192)	1000.00	2000.00
ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 2 000.00 (ორი ათასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით				

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	შპს „ევრო მონოლითი“
დირექტორი	*დირექტორი*
---	---
გრიგოლ მანდარია	ზვიადი მაისურაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თელავის სათავე ნაგებობაზე ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემის მიწის სამუშაოების მოსაწყობად მაღალი გამავლობის ექსკავატორის (მუხლუხა) ოპერატორთან ერთად დაქირავების მომსახურების შესყიდვა
შპს „ევრო მონოლითი“

№ 01 – 021101 ხელშეკრულება

ქ. თბილისი 11 .თებერვალი, 2020 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ **ქ. თელავის სათავე ნაგებობაზე ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემის მიწის სამუშაოების მოსაწყობად მაღალი გამავლობის ექსკავატორის (მუხლუხა) ოპერატორთან ერთად დაქირავების მომსახურების (CPV – 45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება; CPV - 45520000 - მიწის სათხრელი მოწყობილობებისა და მათი ოპერატორების დაქირავება) შესყიდვა (შემდგომში - „მომსახურება“)** შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი:

გრიგოლ მანდარია _____

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

ლევან ლატარია _____

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი:

ლაშა ერქომაიშვილი _____

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მოწვეული სპეციალისტი:

სოფიო გავაშელიშვილი _____